ხელშეკრულება № I - 2/235
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 9 თებერვალი 2011წ.

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი, მისი გენერალური დირექტორის მოადგილის გიორგი ბეზარაშვილის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, შპს „იბერია ავტო-ლენდი" მისი დირექტორის ლევან გაბუნიას სახით, (შემდგომში - მიმწოდებელი), საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების „ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით" საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის საბიუჯეტო სახსრებიდან, სატრანსპორტო საშუალებების და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურების (CPV 50100000) ფარგლებში მომსახურეობის გაწევა.

2. ხელშეკრულების ობიექტი და ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ბალანსზე არსებულ ავტომანქანაზე **(MITSUBISHI PAJERO** სახ № **SAK** 737 გამოშვების წელი 2007 CPV 50100000) ტექნიკური მომსახურეობის გაწევა.

№	ავტოსათადარიგო ნაწილების/მომსახურების დასახელება	განზომილება	ავტოსათადარიგო ნაწილები			მომსახურება		ჯამი სულ
			რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი	ერთეულის ფასი	ჯამი	
1	დისკი		1	550.00	550.00			550.00
2	გიტარა		1	188.14	188.14			188.14
3	ძრავის ქვედა დამცავი		1	131.36	131.36			131.36
4	სათუნუქე მომსახურება					1362.71	1362.71	1362.71
5	გიტარის მოხსნა-მონტაჟი		1			67.79	67.79	67.79
6	ელექტრო სისტემის დიაგნოსტიკა		1			30.51	30.51	30.51
7	თვლების განყრის გასწორება		1			30.51	30.51	30.51
ჯამი:								2361.02
დღგ 18%								424.98
სულ ჯამი:								2786.00

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მთლიანი ღირებულება შეადგენს 2786.00 (ორი ათას შვიდასოთხმოცდაექვსი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

3. მომსახურების ხარისხი და გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება შესაბამისობაში იქნება საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან და სრულად დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. მომსახურების შესყიდვის ვადა და ადგილი

4.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სრულად უნდა იქნეს შესყიდული 2011 წლის 25 ნოემბრამდე.

4.2. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ნაკვეთი 034/107.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემოწმებით თუ გაწეული მომსახურება აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნას, მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტები, რომელიც ხელმოწერითა და ბეჭდით უნდა დაამოწმონ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილმა პირებმა.

5.2. მომსახურება ჩაითვლება შესყიდულად საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. მომსახურეობის შესყიდვის ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6.2. ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში, მიმწოდებლის რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

7. მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

7.1.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

7.1.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს დეტალური ინფორმაცია გასაწევი მომსახურების შესახებ.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით;

7.2.2. გაწეული მომსახურების ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს და მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა;

7.2.3. დაიცვას ხელეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

7.4.2. გაწეული მომსახურების ნაკლოვანების შემთხვევაში თავისი ხარჯით უზრუნველყოს აღნიშნული ნაკლის გამოსწორება;

7.4.3. გასწიოს მომსახურება საკუთარი ძალებითა და ტექნიკური საშუალებებით;

7.4.4. წინასწარ აცნობოს შემსყიდველს მოსალოდნელი შეფერხების შესახებ;

7.4.5. ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხზე და ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსყიდველს ნებისმიერი ზიანი, რომელიც მას შეიძლება მიადგეს მომსახურების უხარისხოდ ან არაჯეროვნად გაწევის გამო.

8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების, ან შეუსრულებლობის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1% ყოველ გადაცილებულ დღეზე.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა ხორციელდება მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ღირებულებიდან შესაბამისი თანხის გამოქვითვის საშუალებით.

8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის ვალდებულებისაგან.

8.5. თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს საანგარიშსწორებო პერიოდისათვის გასაწევი მომსახურების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და არსებული სტანდარტების მოთხოვნებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად, ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

9.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.4. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ზაზა მესხი – ტრანსპორტის მართვის ჯგუფის მენეჯერი.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.4. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

12.2. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით. შეწყვეტის შესახებ მათ ერთმანეთს უნდა აცნობონ 30 დღით ადრე.

12.3. ხელშეკრულებით ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

13. დავების გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ხელშეკრულების ირგვლივ წარმოქმნილი ნებისმიერი უთანხმოება და დავა.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს დავის გადაწყვეტის დადგენილ წესს.

14. დასკვნითი დებულებანი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონდებლობით.

14.2. მიმწოდებელს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაზე მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“	შპს „იბერია ავტო-ლენდი “
მის: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ.№3.	მის/იურიდ: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ.
ტელ: 298-21-35.	მის/ფაქტ: ქ.თბილისი, სოფ/დიღომი, ნაკვ. 034/107
საიდენტ: 204468664	ტელ: 2527 527, 2531 541.
სახელმწიფო ხაზინა	საიდენტ: 236095845
კოდი: 220101222	სს „საქართველოს ბანკი“-ს ც/ფ
ა/ა 200122900	კოდი: BAGAGE22
	ა/ა GE59BG0000000182943[illegible]
გიორგი ბ[illegible]	ლევან გაბუნია
გენერალური დირექტორი	დირექტორი

[illegible] საქართველოს ეროვნული მუზეუმი 204468664 GEORGIAN NATIONAL MUSEUM

IBERIA AUTO LENDI LTD 236095177